ინდუსტრიულ ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- აკრედიტებული საინსპექციო ორგანოების შექმნამდე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება შემდეგ საზედამხედველო ობიექტებზე: ამწე მოწყობილობა, ლიფტი, ესკალატორი, ფუნიკულიორი, საბაგირო გზა, საქვაბე დანადგარი, ატრაქციონი, წნევაზე მომუშავე ჭურჭელი, ჟანგბადის წარმოება და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებასაფრთხიანი პროცესი, თხევადი ჟანგბადის წარმოება, რეზერვუარში/ცილინდრში ჟანგბადის ჩაჭირხვნა, სამეწარმეო დანიშნულებით გამოყენებადი ამიაკზე მომუშავე სამაცივრო დანადგარი, ნავთობბაზა, მაგისტრალური ნავთობსადენი, მაგისტრალური გაზსადენი, ავტოგასამართი სადგური და ავტოგასამართი კომპლექსის (ავტოგასამართი, აირგასამართი და აირსავსები სადგურები). ავტოგასამართი სადგურის ინსპექტირება დასაშვებია მხოლოდ „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №60 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟებისა და ფუნქციონირების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებით;
- საზედამხედველო ობიექტზე არსებული შეუსაბამობის ხარისხის განსაზღვრა (არაარსებითი, არსებითი, კრიტიკული) და მისი შესაბამის ინსპექტირების ოქმში შეტანა;
- არსებითი ან/და კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში დამრღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დარღვევის ადგილზე შედგენა კანონმდებლობის შესაბამისად და მისი წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის;
- ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს უფროსისათვის რეკომენდაციების მიწოდება შეუსაბამობის გამოსწორებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე და ამ ვადის დაცვის შემდგომი კონტროლი;
- დარღვევებისა და შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;
- ობიექტების მონიტორინგის ნუსხის პროექტის შემუშავება და მისი სააგენტოს უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნუსხაში შეტანილი ობიექტების კონტროლი, რომ არ მოხდეს ამ ობიექტების ექსპლუატაცია, ხოლო ობიექტების ფარული ექსპლუატაციის შემთხვევაში მისი მფლობელის დაჯარიმება და ამ ობიექტის შეჩერების შესახებ რეკომენდაციის მომზადება;

- ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით გათვალისწინებული რისკის კატეგორიებზე დაყრდნობით გეგმური ტექნიკური ინსპექტირების პერიოდულობის გეგმის მომზადება და სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა;
- დადგენილი პერიოდულობის გარდა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფროსთან შეთანხმებით ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება ამ სფეროში ინსპექტირების ორგანოების შექმნამდე, ან თუ ასეთი შექმნილია, მისი მეშვეობით;
- საზედამხედველო ობიექტზე დოკუმენტური კონტროლის განხორციელება;
- ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოსათვის საზედამხედველო ობიექტებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც განახორციელებს ამ ინფორმაციის შეტანას მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების რეესტრში;
- მონაწილეობის მიღება დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფაში და სააგენტოს უფროსისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

სტატისტიკური მონაცემები

ინსპექტირებული ინდუსტრიული ობიექტების რაოდენობა - 194

- 92,8 კმ. მაგისტრალური გაზსადენი
- 42 ამწე-მოწყობილობა
- 32 წნევაზე მომუშავე ჭურჭელი
- 25 ლიფტი
- 23 აირგასამართი სადგური
- 13 აირსავსები სადგური (სადგურები ასევე, მოიცავენ წნევაზე მომუშავე ჭურჭლებს - კანონმდებლობის შესაბამისად, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტის სტატუსის მოხსნამდე)
- 17 საბაგირო გზა
- 8 ნავთობბაზა
- 6 საქვაბე დანადგარი
- 5 ამიაკზე მომუშავე დანადგარი
- 5 ჰაერის დაყოფისა და ჟანგბადის ჩაჭირხვნის დანადგარი
- 17 ესკალატორი

ინდუსტრიული ობიექტების დოკუმენტური კონტროლის რაოდენობა - 816

- 727 ლიფტი
- 28 თხევადი გაზგასამართი სადგური
- 15 ესკალატორი
- 13 საბაგირო გზა
- 13 წნევაზე მომუშავე ჭურჭელი
- 7 ნავთობბაზა
- 7 საქვაბე დანადგარი
- 6 მაგისტრალური გაზსადენის მონაკვეთი

დაჯარიმებული ინდუსტრიული ობიექტების რაოდენობა - 142
საჯარიმო თანხის რაოდენობა - 83 750 ლარი

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი **ობიექტების უწყებრივ რეესტრში** დარეგისტრირდა 800 ინდუსტრიული ობიექტი.

სამთო ობიექტებზე ზედამხედველობის სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვის გაცემა და სანებართვო პირობების შესრულების კონტროლი; აკრედიტებული საინსპექციო ორგანოების შექმნამდე პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება შემდეგ საზედამხედველო ობიექტებზე: კარიერი, მაღარო, შახტი სასარგებლო წიაღისეულის მექანიზებული წესით მოპოვების შემთხვევაში, ბუნებრივი გამოქვაბულები და მღვიმეები, სადაც ხდება ადამიანთა ორგანიზებული დაშვება, ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების (ხელოვნური წყალსატევები, კაშხლები, სარეგულაციო ნაგებობები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები) კონსტრუქციული მდგრადობა;
- საზედამხედველო ობიექტზე არსებული შეუსაბამობის ხარისხის განსაზღვრა (არაარსებითი, არსებითი, კრიტიკული) და მისი შესაბამის ინსპექტირების ოქმში შეტანა;
- არსებითი ან/და კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში დამრღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დარღვევის ადგილზე შედგენა კანონმდებლობის შესაბამისად და მისი წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის;
- ამ მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს უფროსისათვის რეკომენდაციების მიწოდება შეუსაბამობის გამოსწორებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე და ამ ვადის დაცვის შემდგომი კონტროლი;
- დარღვევებისა და შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;
- ობიექტების მონიტორინგის ნუსხის პროექტის შემუშავება და მისი სააგენტოს უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ნუსხაში შეტანილი ობიექტების კონტროლი, რომ არ მოხდეს ამ ობიექტების ექსპლუატაცია, ხოლო ობიექტების ფარული ექსპლუატაციის შემთხვევაში მისი მფლობელის დაჯარიმება და ამ ობიექტის შეჩერების შესახებ რეკომენდაციის მომზადება;
- ინსპექტირების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით გათვალისწინებული რისკის კატეგორიებზე დაყრდნობით გეგმური ტექნიკური ინსპექტირების პერიოდულობის გეგმის მომზადება და სააგენტოს უფროსისათვის წარდგენა;
- დადგენილი პერიოდულობის გარდა, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-20 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს უფროსთან შეთანხმებით ტექნიკური ინსპექტირების განხორციელება ამ სფეროში ინსპექტირების ორგანოების შექმნამდე, ან თუ ასეთი შექმნილია, მისი მეშვეობით;
- საზედამხედველო ობიექტზე დოკუმენტური კონტროლის განხორციელება;

- ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოსათვის საზედამხედველო ობიექტებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც განახორციელებს ამ ინფორმაციის შეტანას მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების რეესტრში;
- მონაწილეობის მიღება დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფაში და სააგენტოს უფროსისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 91 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი შენობა-ნაგებობის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა.
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

სტატისტიკური მონაცემები

2019 წლის განმავლობაში განხორციელდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი სამთო ობიექტების 82 ინსპექტირება. მათ შორის:

კარიერი - 65 ინსპექტირება,

მაღარო - 7 ინსპექტირება,

შახტი - 4 ინსპექტირება;

სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალის გამოყენება - 7 ინსპექტირება;

ფინანსური სანქცია დაკისრებულ იქნა 48-ჯერ.

საერთო საჯარიმო თანხამ შეადგინა 103 975 ლარი.

განხორციელდა მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი სამთო ობიექტების 78 დოკუმენტური კონტროლი. მათ შორის:

კარიერი - 58 სერთიფიკატი;

მაღარო - 20 სერთიფიკატი;

გაიცა სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების 36 ნებართვა

მათ შორის:

35 - დაჩქარებული სახით;

სანებართვო მოსაკრებელმა შეადგინა 1440 ლარი;

დაჩქარებული მომსახურების გადასახადმა შეადგინა 15050 ლარი;

ტექნიკური ინსპექტირება ჩაუტარდა იარაღის 16 მაღაზიას;

მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრში დარეგისტრირდა 97 სამთო ობიექტი.

სამთო ობიექტები
ფეთქებადი მასალების გამოყენების ნებართვები 2014-2019 წ.
40
30
20
10
0
24
25
15
12
22
36
2014
2015
2016
2017
2018
2019
სანებართვო მოსაკრებელი 2014-2019 წ.
2000
1000
0
960
1000
600
480
880
1440
2014
2015
2016
2017
2018
2019
დაჩქარებული მომსახურების გადასახადმა შეადგინა 15800 ლარი
4

ტექნიკური ზედამხედველობის სტატისტიკა

შენიშვნა: 2018 წლიდან სააგენტო ახორციელებს ობიექტების არაგეგმიურ ტექნიკურ ინსპექტირებას, ხოლო, გაიზარდა დოკუმენტური კონტროლის რაოდენობა

ბაზარზე ზედამხედველობის სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- ბაზარზე განთავსებული ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრული ობიექტების ზედამხედველობა.;
- საზედამხედველო ობიექტზე არსებული შეუსაბამობის ხარისხის განსაზღვრა (არაარსებითი, არსებითი, კრიტიკული) და მისი შესაბამის ინსპექტირების ოქმში შეტანა;
- არსებითი ან/და კრიტიკული შეუსაბამობის შემთხვევაში დამრღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის დარღვევის ადგილზე შედგენა კანონმდებლობის შესაბამისად და მისი წარდგენა სააგენტოს ხელმძღვანელობისათვის;
- ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სააგენტოს უფროსისათვის რეკომენდაციების მიწოდება შეუსაბამობის გამოსწორებისათვის გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე და ამ ვადის დაცვის შემდგომი კონტროლი;
- დარღვევებისა და შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;
- ობიექტების მონიტორინგის ნუსხის პროექტის შემუშავება და მისი სააგენტოს უფროსისათვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- საზედამხედველო ობიექტზე დოკუმენტური კონტროლის განხორციელება;
- ადმინისტრირებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამმართველოსათვის საზედამხედველო ობიექტებთან დაკავშირებული შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, რომელიც განახორციელებს ამ ინფორმაციის შეტანას მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების რეესტრში;
- მონაწილეობის მიღება დარგის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების სრულყოფაში და სააგენტოს უფროსისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

სტატისტიკური მონაცემები

2019 წელს შემოწმდა სამშენებლო პროდუქტის საზღვარგარეთიდან შემოტანის 5139 შემთხვევა. მათ შორის:

- ცემენტი - 545 შემთხვევა
- არმატურა - 402 შემთხვევა
- პლასტმასის მილი - 2669 შემთხვევა
- ელექტროკაბელი - 1382 შემთხვევა
- დაფარვის სფეროში არ შედიოდა - 141 შემთხვევა

შემოწმებული შემთხვევებიდან, საქართველოს ბაზარზე დაშვებულ იქნა 4063. მათ შორის:

- ცემენტი - 510 შემთხვევა
- არმატურა - 291 შემთხვევა
- პლასტმასის მილი - 2276 შემთხვევა
- ელექტროკაბელი - 986 შემთხვევა

ადგილზე ინსპექტირება (მათ შორის, გადამოწმებები) ჩატარდა 71-ჯერ.

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო

სამმართველოს ფუნქციები

- სააგენტოს ძირითადი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- კომპეტენციის ფარგლებში სხვა სამართლებრივი პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მინდობილობის (რწმუნებულების) საფუძველზე სააგენტოს წარმომადგენლობა ყველა ინსტანციის სასამართლოში;
- სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების ანალიზი; ადმინისტრაციულ სამმართველოსთან და სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეების განხილვის შედეგებზე შესაბამისი ადმინისტრაციული აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- სხვადასხვა უწყებიდან შემოსულ ნორმატიული აქტების პროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება;
- სააგენტოს თანამშრომლებისათვის კონსულტაციების გაწევა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე;
- მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა საჩივრების, განცხადებების განხილვაში მონაწილეობის მიღება მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;
- კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელება.

საკანონმდებლო აქტები

2019 წლის განმავლობაში სამმართველომ შეიმუშავა 9 ახალი ნორმატიული აქტი:

- **„განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №257 დადგენილება;**
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/625 ბრძანება ,,სსიპ – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის ფორმისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 27 დეკემბრის №1-1/624 ბრძანება„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“

ახალი და გლობალური მიდგომის ევროპული დირექტივების შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები:

- სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ;
- მანქანა-დანადგარების შესახებ;
- პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები და დამცავი სისტემების შესახებ;
- აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ;
- ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის შესახებ;
- სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესახებ;

ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტოს შექმნასთან დაკავშირებული ინსტიტუციონალური რეფორმის შედეგად ცვლილებები შევიდა 15 ნორმატიულ აქტში:

- „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2019 წლის 17 ივლისის ერთობლივი №224/№1-1/349 ბრძანება

„სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინების“ ფორმისა და მისი შევსების/დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“;

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანება ,,საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №70 დადგენილება „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულება;
- საქართველოს მთავრობის N149 დადგენილება ,,თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის N150 დადგენილება ,,წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის N157 დადგენილება ,,წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის N289 დადგენილება ,,ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის N320 დადგენილება ,,ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის N476 დადგენილება ,, სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის N539 დადგენილება ,,ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის N540 დადგენილება - ,,ბაზარზე განთავსებული პროდუქტების საფრთხის კატეგორიების განსაზღვრისა და რისკის შეფასების წესისა და ფორმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის N634 დადგენილება ,,შეცდომაში შემყვან პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას - ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის N635 დადგენილება ,,ბაზარზე ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელების დაშვებისა და ახალი სახეობების სანთებელების აკრძალვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;

ამოქმედდა ახალი და გლობალური მიდგომის ევროპული დირექტივების შესაბამისად შემუშავებული ტექნიკური რეგლამენტი:

- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 1 ოქტომბრის №476 დადგენილება სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;

სასამართლო დავები

- მონაწილეობა მიიღო 10 სასამართლო დავაში;
- აგრძელებს მონაწილეობას 7 სასამართლო დავაში.

ევროკავშირთან დაძმობილების პროექტი - „თვინინგი“ - ბაზარზე ზედამხედველობის განვითარებისთვის

2018-2019 წლებში, ევროკავშირის მხარდაჭერითა და დაფინანსებით, სააგენტოში განხორციელდა დაძმობილების ორწლიანი პროექტი „თვინინგი“ - „ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს შესაძლებლობების გაზრდა საქართველოში ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარებისთვის“, რომლის ბიუჯეტი 1 500 000 ევროს შეადგენდა. პროექტის მიზანი იყო:

- საქართველოში სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება ევროკავშირის კანონმდებლობისა და საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად.
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერება;

დაძმობილების პროექტმა საქართველოს შესაძლებლობა მისცა, მჭიდრო თანამშრომლობის გზით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან მიეღო ცოდნა, გამოცდილება და უნარები დაგეგმილი შედეგების მისაღწევად.

პროექტის ფარგლებში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში:

- განვითარდა საზედამხედველო სფეროს სამართლებრივი ჩარჩო ევროკავშირის კანონმდებლობის შესახებ კონსულტაციებითა და მთელი რიგი ევროდირექტივებისა და რეგულაციებთან დაახლოების საშუალებით;

ახალი და გლობალური მიდგომის ევროპული დირექტივების შესაბამისად, შემუშავდა შემდეგი ტექნიკური რეგლამენტები:

- ✓ ბავშვების მოხმარებისთვის რეზისტენტული სანთებელების აკრძალვის შესახებ;
- ✓ შეცდომაში შემყვან სამომხმარებლო პროდუქტებთან დაკავშირებით, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებს მომხმარებლის ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას;
- ✓ სამშენებლო პროდუქტების შესახებ;
- ✓ პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებელი მოწყობილობები და დამცავი სისტემების შესახებ;
- ✓ სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ;
- ✓ აირად საწვავზე მომუშავე მოწყობილობების შესახებ;
- ✓ ინდივიდუალური დაცვის აღჭურვილობის შესახებ;
- ✓ მანქანა-დანადგარების შესახებ;
- ✓ სამოქალაქო დანიშნულების ფეთქებადი მასალების შესახებ;

➢ სააგენტოს თანამშრომლების ცოდნა და უნარები ამაღლდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ექსპერტების მიერ ჩატარებული შემდეგი ღონისძიებების საშუალებით:

- ✓ **ტრენინგები**
- ✓ **სემინარები**
- ✓ **საპილოტე სწავლებები**
- ✓ **ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სასწავლო ვიზიტები.**

➢ ახალი რეგულაციების, პროდუქტის უსაფრთხოებისა და ბაზარზე ზედამხედველობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს მასშტაბით გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრები და სემინარები საქართველოს შემდეგ ქალაქებში:

- ✓ თბილისი
- ✓ ქუთაისი
- ✓ ბათუმი
- ✓ ზუგდიდი
- ✓ წინანდალი

➢ **მომზადდა:**

- ✓ საინფორმაციო და საკონსულტაციო ბროშურები
- ✓ ცნობიერების ასამაღლებელი ვიდეო

➢ პროექტმა ხელი შეუწყო **ცნობიერების ამაღლებაში:**

- ✓ სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

- ✓ ბიზნესის წარმომადგენლებს (ეკონომიკურ ოპერატორებს);
- ✓ მომხმარებლებს;

პროექტი განხორციელდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში. სხვადასხვა პერიოდში, შესაბამისი სფეროების მიხედვით, **პროექტში ჩართულნი იყვნენ შემდეგი უწყებები:**

- ➢ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი;
- ➢ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტი;
- ➢ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- ➢ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი;
- ➢ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ➢ მომხმარებელთა დაცვის ორგანიზაციები;
- ➢ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
- ➢ სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბიზნესში მოქმედი ორგანიზაციები (ეკონომიკური ოპერატორები);

თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება

2019 წლის განმავლობაში სააგენტოს თანამშრომლებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია, დაესწრნენ საერთაშორისო შეხვედრებს, ტრენინგებს და გაიზიარეს ევროპული გამოცდილება.

დიდი ბრიტანეთი

ტრენინგი - ინტერნეტში არსებული ბაზების გამოყენება ბაზარზე ზედამხედველობის მიზნებისთვის

ბელგია, ბრიუსელი

ყოველწლიური შეხვედრა – Prosafe - ბაზარზე ზედამხედველობის ევროპული ორგანიზაცია და მასში გაწევრიანება.

ლიეტუვა

სასწავლო ვიზიტი - ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები და ევროპული გამოცდილების გაზიარება.

ბელგია, ბრიუსელი

ყოველწლიური შეხვედრა – ADCO - ევროკავშირის სამშენებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოები.

თბილისი

ტრენინგი - ეფექტიანი კომუნიკაცია და მისი როლი მომსახურების სფეროში.

თბილისი

ტრენინგი საამფეთქებლო სამუშაოების თაობაზე, ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობა სხვა უწყებებთან

2019 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა IDFI-მ სააგენტო დააჯილდოვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ხელმისაწვდომობისთვის 2018 წლის განმავლობაში

2019 წლის განმავლობაში სააგენტო საქმიანობის პროცესში მთელი საქართველოს მასშტაბით თანამშრომლობდა სხვა უწყებებთან:

- ცენტრალური ხელისუფლება
- სამინისტროები და მათ რგოლში შემავალი უწყებები
- ადგილობრივი თვითმმართველობები
- საზღვარგარეთ მომიჯნავე სფეროში მოქმედი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციები

მონაწილეობდა ნორმატიული აქტებისა და ზედამხედველობის დოკუმენტების შემუშავებაში

გაფორმდა მემორანდუმი შემდეგ სახელმწიფო უწყებებთან:

- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- თბილისის მერია

მემორანდუმის ფარგლებში სააგენტომ სამშენებლო ობიექტებზე შეამოწმა 35-ზე მეტი მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტი

სააგენტოს აქტივობები

II ადგილი და სიგელი - „რა სად როდის“ - სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების ინტელექტუალური შეჯიბრი

მონაწილეობა გეოინფორმაციული სისტემების

XX საერთაშორისო კონფერენციაში

სამომავლო გეგმები

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორებთან ურთიერთობა

- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება
- სააგენტოს სერვისების გაუმჯობესება

საზედამხედველო ობიექტებზე უსაფრთხოების ზრდა

- შიდა პროცესების მართვის გაუმჯობესება, რომელიც უზრუნველყოფს გაუმჯობესებულ კონტროლს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე
- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ზედამხედველობის რაოდენობის ზრდა
- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებზე ზედამხედველობის რაოდენობის ზრდა

სააგენტოს საქმიანობისა და მომსახურების ელექტრონული სისტემის დანერგვა და დახვეწა

- განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ნებართვების გაცემის ელექტრონული სისტემის დახვეწა
- ნებართვების გაცემის ელექტრონულ სისტემასთან დაკავშირებით ნებართვის მაძიებელი პირების იდენტიფიცირება და საკონსულტაციო შეხვედრების გამართვა
- სააგენტოს საარქივო საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის დანერგვა

სააგენტოს საქმიანობისა და ადმინისტრაციული პროცედურების დახვეწა

- მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების უწყებრივ რეესტრში ობიექტის დაურეგისტრირებლობისათვის შესაბამისი სანქციების განსაზღვრა
- ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით შიდა პროცედურების გაწერა და შესაბამისი აქტით დამტკიცება
- მშენებლობის ნებართვის გაცემის ადმინისტრაციული წარმოების პროცედურების დახვეწა და შესაბამის ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანა
- სააგენტოში თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა
- სააგენტოს თანამშრომლებისათვის უნიფორმების შემუშავება და შესყიდვა